პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 59 (4569)

1972 წ. 25 მარტი, შაბათი.

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## წინ ზვავ საზეობზია



საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა იპოდრომზე მოიყარეს თავი მშდ ახალი კომპლექსით გათვალისწინებული მძლეოსნური ნორმატივების ჩასაბარებლად. ქალები — 500, ვაჟები კი 1000 მეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სტარტზე 300-მდე სტუდენტი გამოვიდა.

ნორმატივების ჩაბარება ნამდვილ სპორტულ ზეიმად გადაიქცა. ყველაზე მეტად თავი ველოსიპედისტებმა გამოიჩინეს. ქალთა შორის პირველობა მოიგო ველოსიპედისტმა სპორტის ოსტატმა ვ. ხრიავინამ, რომლის შედეგია 1.33,8, II ადგილზე გავიდა ფიგურული მოციგურავე მ. ბარიშვილი — 1.41,4. ორივე სპორტსმენმა ნორმატივი ოქროს ნიშანზე ჩააბარა, ხოლო 9 მოასპარეზემ დისტანცია გაირბინა ისეთ დროში, რომელიც მათ ვერცხლის ნიშნისთვის ბრძოლის უფლებას აძლევს.

ვაჟთა შორისაც ველოსიპედისტმა სპორტის ოსტატმა ი. მელიკოვმა იმარჯვა. მან 1000 მეტრზე 2.54,2 აჩვენა, ოქროს ნიშნის მოპოვებისთვის დაწესებული დრო კი 3 წუთი და 20 წამია, II ადგილზე გავიდა კალათბურთელი ჯ. სხირტლაძე, III — ველოსიპედისტი ვ. პეტრინი. მათს გარდა ოქროს სამკერდე ნიშნისთვის რბენაში კიდევ 39 სპორტსმენი ჩაება.

ამ დღეს 44 სტუდენტმა ოქროს, ხოლო 63 ფიზკულტურელმა ვერცხლის სამკერდე ნიშანზე ჩააბარა ნორმატივები.

კარგი დასაწყისია. ახლა სტუდენტებს კომპლექსის სხვა სახეობები ელით.

ფ. ლეონიძე.

• • •

სურათზე: ვაჟთა რბენის მომენტი.



ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „ყუბანის" ფიზკულტურის კოლექტივი ერთ-ერთი ყველაზე დიდია უსტ-ლაბინსკის რაიონში (კრასნოდარის მხარე).

კოლმეურნეობაში 3500-ზე მეტი კაცი მუშაობს და მათგან ყოველი მეხუთე სპორტს მისდევს. კოლმეურნეობის ფიზკულტურელები წარმატებით გამოდიან რაიონულ და სამხარეო შეჯიბრებებში. ამას წინათ საზოგადოება „უროჟაის" სამხარეო კონკურს-დათვალიერებაში კოლმეურნეობის კოლექტივმა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის ჯილდოდ დიპლომი და ფულადი პრემია მიიღო. ახლა სპორტსმენები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას შეუდგნენ.

• • •

სურათზე: კოლმეურნეობის სპორტულ დარბაზში.

ე. შულეპოვის ფოტო (საკდესი).

## მესამე გამარჯვება

კენტი, 23 მარტი. ოჰაიოს შტატის (აშშ) სტუდენტთა ქალაქში ჩატარდა აშშ-სა და საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების მესამე ამხანაგური შეხვედრა. ბრძოლა ამჯერად უფრო მძაფრი და შეუპოვარი იყო. მასპინძლებმა საასპარეზოდ უძლიერესი მოჭიდავეები გამოიყვანეს. მით უფრო სასიამოვნოა და საპატიო საბჭოთა ოსტატების წარმატება, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 5,5:1,5.

საბჭოთა გუნდს ქულები მოუტანეს: რ. დმიტრიევმა (დაამარცხა უ. ვოლსი), ზ. აბდულბეკოვმა (ტ. მილგოვიჩი), ლ. თედიაშვილმა (აშკარა უპირატესობით მოუგო ფ. ფოზარდს), პ. სურიკოვმა (რ. ჰელიკსონი).

ფრედ დაამთავრეს შეხვედრები ა. ნასრულაევმა (შ. კართან), შ. ლომიძემ (ბ. პარლოუსთან) და ნ. მოდებაძემ (ისევ კ. ტეილორთან).

ვ. ჩერტკოვი დამარცხდა გ. სანდერსთან, ნ. ხოხაშვილი კი უ. უელსთან, მასპინძლებმა კიდევ ერთი ქულა აიღეს მეორე ქვესაშუალო წონაში, სადაც საბჭოთა ნაკრებს მონაწილე არ ჰყავს.

როგორც ხედავთ, ამერიკელები ნელ-ნელა აძლიერებენ გუნდს იმ ვარაუდით, რომ ბოლო მატჩში, რომელიც 24 მარტს ნიუ-იორკში გაიმართება, საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანონ. მაგრამ ნაკრები, რომელიც კენტში ასპარეზობდა, უამისოდაც ძლიერი იყო. საკმარისია აღვნიშნოთ თუნდაც ის, რომ სტუდენტთა ქალაქში სხვადასხვა დროის სამი მსოფლიო ჩემპიონი იბრძოდა: სანდერსი, უელსი და ფოზარდი.

## დასავლეთგერმანელი სტუმრის ვიზიტი

მოსკოვი, 23 მარტი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა გუშინ მიიღო XX ოლიმპიური თამაშების ვიცე-პრეზიდენტი, მიუნჰენის ობერ-ბურგომისტრი ჰ. ფოგელი და საუბარი ჰქონდა მასთან მომავალ ოლიმპიადაში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობაზე.

ჰ. ფოგელი მოსკოვში სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდა.

- ლეინი — პირველი
- საბჭოთა სპორტსმენების 5 პრიზი
- მასპინძლობს 160-მეტრიანი ტრამპლინი

◆ ჰავანა, 24 მარტი. საბჭოთა დიდოსტატ ა. ლეინის გამარჯვებით დამთავრდა აქ გამართული ხ. კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი. ლეინმა 9 პარტია მოიგო, 10 ყაიმით დაამთავრა და არც ერთი არ წააგო. მას გადაეცა ოქროს მედალი. II ადგილი წილად ხვდა დიდოსტატ ი. პლატონოვს, III — ზ. რიბლის (უნგრეთი).

◆ პლანიცა, 24 მარტი. დღეს აქ გაიხსნა ტრამპლინიდან მხტომელთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი. როგორც ცნობილია, მონაწილეებს მოუწევთ უდიდესი — 160-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა. ასპარეზობაში გამოვა 17 ქვეყნის 70-მდე სპორტსმენი. საბჭოთა სპორტის ღირსებას დაიცავენ კ. წაქაძე, გ. ნაპალკოვი, ა. ჟეგლანოვი, ი. კალინინი და ა. ივანიკოვი.

◆ მოსკოვი, 24 მარტი. სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობას მიეძღვნა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრება. საბჭოთა ოსტატებმა 5 ჯილდო დაისაკუთრეს. მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, მოსკოველმა ე. კარპუხინამ ყველას აჯობა სახტუნებლიანი ვარჯიშში. ომსკელი გ. შუგუროვა პირველი იყო რგოლებით, ასტრახანელი ე. ლეონტიევა ბურთით ვარჯიშში. უსაგნოდ ვარჯიშში გაიმარჯვა ა. ზასუხინამ (ასტრახანი).

### ჩვენი ქალაქი ...

### სკიორინგი

სკიორინგი ახალი სახეობა გახლავთ — სათხილამურო რბოლა მოტოციკლის კვალდაკვალ. ამ სახეობამ ოფიციალური აღიარება ლატვიაში ჰპოვა.

თხილამურებით ცხენების კვალდაკვალ რბოლა ცნობილი იყო გასულ საუკუნეში. ახლა მოთხილამურეები მოტოციკლებითა და ავტომანქანებით ასპარეზობენ გვარლს ჩაჭიდებულნი. საჭიროა მაღალი ოსტატობა, რომ თავბრუდამხვევი სისწრაფის დროს თხილამურებზე თავი შეიმაგრო.

ლატვიაში სკიორინგებით შეჯიბრება 1963 წლიდან ტარდება. ახლა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დაადგინა სკიორინგის სტატუსი, დაამტკიცა ოფიციალური წესები და სპორტის ტექნიკური სახეობების ჯგუფი, რომლებიც დოსააფის საზოგადოებაში შედის.

რესპუბლიკა უკვე სკიორინგის 12 სექციას ითვლის: სპორტის ახალ სახეობას დიდი ენთუზიაზმით უწევს პროპაგანდას საზოგადოებრივი ავტო-მოტოკლუბი „ბიერინი". მისი სპორტსმენები რეგულარულად ეჯიბრებიან პეტროზავოდსკის წარმომადგენლებს. ამას წინათ რიგელებმა მოსკოვში გამართეს პირველი შეჯიბრება სკიორინგში.

ე. კეხრისი.

რიგა.

საჭადრაკო ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იქნებ პირველი მახარობელია?

როგორ გვიხარია, როცა ერთ მშვენიერ დღეს შევიტყობთ ჩვენი რომელიმე სპორტსმენის დიდ გამარჯვებას: მით უმეტეს, როცა ეს გამარჯვება პირველი და „ნამდვილი" წარმატებაა. ასე იწყება გზა დიდ სპორტულ სარბიელზე, ასე ვეცნობით ჩვენ სპორტის იმედსა და მომავალს. ძუნწმა საგაზეთო ცნობამ გვაუწყა პაატა შამუგიას გამარჯვება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში. იქნებ ათიოდე წლის წინათ ეს ამბავი ჩვეულებრივად მიგვეღო. მაშინ ვაჟთა ტანვარჯიშს ჩვენში ბევრი საუცხოო სპორტსმენი ამშვენებდა. ახლა კი ყოველი ახალი გვარი, რომელიც საკავშირო სარბიელზე გაიელვებს, ჩვენს წარმოსახვაში ვაჟთა ტანვარჯიშის ხელახალ აღორძინებას უკავშირდება.

პაატა შამუგიას წარმატება ადრეულ გაზაფხულს დაემთხვა. რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ „ცრუმორწმუნეობისგან", მაგრამ ამ ფაქტში არის რაღაც სიმბოლური. იქნებ იგი ქართული ტანვარჯიშის გაზაფხულის პირველი მახარობელია? ვინ იცის.

ოცი წლისაა პაატა, საშუალო ტანის, წაბლისფერთმიანი, თავისი ასაკის კვალობაზე ძალიან დინჯი. ოცი წელი ტანვარჯიშისთვის საკმაოდ „სოლიდურ" ასაკად ითვლება. ოცი წლის მიხეილ ვორონინმა ტანვარჯიშის უმაღლესი მწვერვალები დაიპყრო. სხვათა შორის, პაატას გამორჩეულად უყვარს ეს „ელეგანტური, მუდამ მშვიდი მოზიდული, საოცრად შრომისმოყვარე ოსტატი" (ეს შამუგიას სიტყვები გახლავთ).

რა თქმა უნდა, პაატას დიდი მანძილი აშორებს ვორონინისგან (მხედველობაში გვაქვს ოსტატობის ხარისხი), მაგრამ მონდომებითა და შრომისმოყვარეობით არ ჩამოუვარდება მას, იგი დღენიადაგ ეძებს და პოულობს ახალ-ახალ ხერხებსა და ილეთებს, ურთულეს ტანვარჯიშულ კომპოზიციებს. წინის ღრმა რწმენით, მხოლოდ უდიდესი შრომისმოყვარეობაა ერთადერთი გასაღები თანამედროვე ტანვარჯიშის მწვერვალების დასაპყრობად. ერთი საშუალო სიმაღლის „მწვერვალი" უკვე დანებდა მის შესაშურ მონდომებასა და შემართებას. წინ კი ასეთი დიდი გზაა გასავლელი.

ჩვეულებრივ, როცა სპორტსმენი თვალსაჩინო წარმატებას აღწევს, გულშემატკივრებს აინტერესებთ მისი სპორტული გზა. ჩვენ არ ჩამოვთვლით პაატა შამუგიას ყველა მიღწევას, მით უმეტეს, რომ მათი უმრავლესობა არ განეკუთვნება ტანვარჯიშის ყველაზე რთულ „წინაღობებს". თუმცა, პაატას უკვე შეუძლია იამაყოს მოსწავლეთა საკავშირო პირველობების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით, ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ტურნირებში მოპოვებული საპრიზო ადგილებით... ყოველივე ამან ნიჭიერ თბილისელ ტანმოვარჯიშეს მტკიცედ დაუმკვიდრა ადგილი სსრ კავშირის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდში.

როგორც ხედავთ, პაატა შამუგიას სპორტული ბიოგრაფია არც ისე ღარიბი გახლავთ, ამიტომ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში გამარჯვება სულაც არ ყოფილა მოულოდნელი. ასეთივე აზრისაა მისი მწვრთნელი კ. ბურჯანაძე, რომელმაც კიდევ უფრო უნდა დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს ნიჭიერი ტანმოვარჯიშის ოსტატობა.

პაატა შამუგიას წარმატება ადრეულ გაზაფხულს დაემთხვა. იქნებ იგი ქართული ტანვარჯიშის გაზაფხულის პირველი მახარობელია? ვინ იცის.

**ა. გურული.**

სურათზე: პ. შამუგია.
მ. ზარგარიანის ფოტო.

# შეჯიბრებაში ქარიც ჩაერია

თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის სასროლეთზე სამ დღეს გაგრძელდა საქართველოს თასის გათამაშება სასტენდო სროლაში. სარბიელზე მხოლოდ სამი გუნდი გამოვიდა. ასპარეზობას თავი აარიდეს აფხაზეთის, მახარაძის, ზუგდიდისა და წალენჯიხის კოლექტივებმა. აფხაზეთისა და მახარაძის სპორტსმენებს მართლაც შეუძლიათ თავი გაიმართლონ ბაზების უქონლობით, რის გამოც ნორმალურ წვრთნას ვერ ახერხებენ. მაგრამ რაღას იტყვიან ზუგდიდისა და წალენჯიხის მესტენდურეები? სეზონის პირველი რესპუბლიკური ტურნირისადმი ასეთი გულგრილობა არც ერთ კოლექტივს არ ეპატიება.

შეჯიბრებაში ჩაებნენ თბილისის, აჭარისა და ქუთაისის გუნდები, აგრეთვე, პირადი პირველობის მონაწილე სულ რამდენიმე მსროლელი.

არც შედეგები გამოდგა სახარბიელო, რაშიც, რა თქმა უნდა, მთავარი როლი ძლიერმა (ზოგჯერ წამში 25-30 მეტრის სიძლიერის) ქარმა შეასრულა. ქარი განსაკუთრებით მეორე დღეს მძვინვარებდა.

შეჯიბრება აცდენამდე სროლით დაიწყო. მეტოქეთ ორ-ორი ცდის უფლება ჰქონდათ. ჩათვლაში საუკეთესო მაჩვენებელი შედიოდა. ადგილიდან სროლაში თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა პირველივე სერიაში უშეცდომოდ გატეხა 12 სამიზნე და ლიდერობა ხელთ იგდო. სხვები მას საგრძნობლად ჩამორჩნენ. მაგრამ მეორე ცდაზე თბილისელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა დ. კონდრატიევმა 10 ქულა მოაგროვა, რამაც II ადგილი მოუპოვა. თბილისელი პირველთანრიგოსანი მ. შარვაძე 7 ქულით III ადგილზეა.

მრგვალ სტენდზე მსროლელთა შორის ქუთაისის მე-20 სკოლის მეათეკლასელმა, პირველთანრიგოსანმა გ. შენგელიამ და თბილისელმა პირველთანრიგოსანმა ა. სეროვმა პირველი-მეორე შედეგები (6-6 ქულა) აჩვენეს. სეროვისთვის ეს მაჩვენებელი მეორე ცდაშიც საუკეთესო აღმოჩნდა, რამაც საბოლოოდ III ადგილი მოუპოვა. შენგელიამ ამჯერად უშეცდომოდ გატეხა ზედიზედ 11 სამიზნე და უძლიერესის სახელი მოიპოვა. შენგელიასთან 2 ქულა წააგო „საქსახწყალკანალპროექტის" ინსტიტუტის ტოპოგეოლოგიური განყოფილების უფროსმა, სპორტის ოსტატმა ნ. ჯანაშიამ.

მაგრამ შენგელიასა და ჯანაშიასთვის ამ ტურნირში ეს ერთადერთი წარმატება როდი იყო. მათ მთავარ ტურნირშიც საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს: ჯანაშიამ 200 შესაძლებლიდან 160 ქულით II ადგილი დაიკავა, ხოლო შენგელიამ 154 ქულით — III. ჯანაშიასა და შენგელიას მხოლოდ სსრ კავშირის მეორე ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თ. მატოიანმა აჯობა — 178 ქულა (მატოიანმა ამ ვარჯიშის მარტო პირველ ნახევარში, ასპარეზობის მეორე დღეს, 14 ქულა დაკარგა).

ადგილიდან მსროლელთა შორის 100 სამიზნის შემდეგ ისევ მაჩხანელი დაწინაურდა — 80 ქულა. თბილისელი სპორტის ოსტატი ვ. ალავერდოვი 3 ქულას აგებდა, კონდრატიევი — 5-ს. მაგრამ მესამე დღეს კონდრატიევმა გამოცდილ სპორტსმენებსაც გაუსწრო, საბოლოოდ 164 ქულა დააგროვა და გამარჯვება დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდა ალავერდოვი — 161, III — მაჩხანელი — 160.

როგორც ხედავთ, ტექნიკური შედეგები ძალიან დაბალია: I თანრიგის შედეგიც კი მხოლოდ მატოიანმა და კონდრატიევმა აჩვენეს. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პრიზიორებისთვის, საქართველოს სპორტსმენებისთვის ეს სახარბიელო მაჩვენებელი როდია, მაგრამ, როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ჯ. მოწონელიძემ გვითხრა: საგანგაშო არაფერია. ძლიერ ქართან ბრძოლაში მესტენდურეებმა კიდევ კარგ შედეგებს მიაღწიესო.

როგორც ადგილიდან (276 ქულა), ისე მრგვალ სტენდზე (295) სროლაში გუნდური გამარჯვება და თასები თბილისის კოლექტივებმა დაისაკუთრეს. II ადგილები ქუთაისელ მესტენდურეებს ხვდათ წილად.

შედგა რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც აპრილის დასაწყისში დონის როსტოვში სსრ კავშირის თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ თბილისში გამართულ ასპარეზობაში სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი ტ. ჟღენტი არ მონაწილეობდა, ვინაიდან იგი ქვეყნის ნაკრების სხვა სამ წევრთან ერთად ვარჯიშობს.

**რ. მაღრაძე.**

* * *

სურათზე: მრგვალ სტენდზე სროლაში პრიზიორები (მარცხნიდან) გ. შენგელია, თ. მატოიანი და ნ. ჯანაშია ტურნირის შემდეგ.
ო. გელაშვილის ფოტო.



# წინ საკავშირო სპარტაკიადაა

ამას წინათ თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლის დარბაზში დამთავრდა თბილისის პირველობა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის გარდამავალ ჯილდოზე ტანვარჯიშში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ განათლების განყოფილების, „განთიადის", „დინამოსა" და „ლოკომოტივის" წარმომადგენლები. უკონკურსოდ გამოდიოდა გლდანის სკოლა-ინტერნატის გუნდი. დაძაბული ბრძოლის შემდეგ 1781,009 ქულით I ადგილი დაისაკუთრა „განთიადის" კოლექტივმა. II ადგილი წილად ხვდა თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის კოლექტივს (1687,202), III — „დინამოს" ნაკრებს (1331,608).

პირად ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა:

უფროსი ასაკის გოგონები. სპორტის ოსტატის პროგრამით მოასპარეზენი: 1. მ. მონიავა — 73 ქულა, 2. ე. მარეხაშვილი — (ორივე — განათლების განყოფილება) 72,05, 3. ნ. სმაგინა („განთიადი") — 71,35.

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით: 1. ნ. მეცხვარიშვილი — („დინამო") 70,05, 2. ა. საცანიანი („განთიადი") 68,3, 3. ნ. სლესარევა — („ლოკომოტივი") 67,6.

საშუალო ასაკის გოგონები. სპორტის ოსტატის პროგრამით: 1. ვ. ვასილიევა 74,75, 2. ს. დუდა — (ორივე — „განთიადი"), 72,3, 3. ი. მუზაშვილი — (განათლების განყოფილება) 71,2.

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით: 1. გ. გუგულაშვილი (განათლების განყოფილება) — 70,25, 2. ლ. სოროკინა („განთიადი") — 69,1. 3. ლ. შარიქაძე — (განათლების განყოფილება) — 68,95.

უმცროსი ასაკის გოგონები. ოსტატობის კანდიდატის პროგრამით: 1. ი. ვასილიევა — 73,6, 2. ჟ. ბიჭიაშვილი — 72,7, 3. ო. ფსხუ (სამივე — „განთიადი") — 70,6.

I თანრიგის პროგრამით: 1. ა. ბოკოლიშვილი — 72,3, 2. ვ. ფხაკაძე — 72,1, 3. ი. ბერიშვილი — (სამივე — „განთიადი") — 72,0.

II თანრიგის პროგრამით: 1. ო. ვისოტინა 73,05, 2. ი. რაიმონდი — 70,7, 3. მ. ბაბუნაშვილი (სამივე — „განთიადი") — 69,1.

ჭაბუკთა პირად პირველობაში ადგილები ასე განაწილდა:

უფროსი ასაკის ჭაბუკები. სპორტის ოსტატის კანდიდატის პროგრამით: 1. გ. რაჭველიშვილი — 110,1, 2. გ. იმედაშვილი (ორივე — განათლების განყოფილება) — 106,35, 3. კ. ლაშხი („განთიადი") — 105,35.

საშუალო ასაკის ჭაბუკები. სპორტის ოსტატის კანდიდატის პროგრამით: 1. ვ. კევლიშვილი (განათლების განყოფილება) — 108,95, 2. ა. ცინცაძე („განთიადი") — 107,5, 3. ზ. ამბოკაძე (განათლების განყოფილება) — 104,7.

I თანრიგის პროგრამით: 1. ე. ჯაიანი — 106,95, 2. გ. გორგაძე (ორივე — „ლოკომოტივი") — 105,15, 3. ა. მახაჩაშვილი („დინამო") — 101,7.

II თანრიგის პროგრამით: 1. თ. გოგინაშვილი — 106,95, 2. თ. უჩუმბეგაშვილი (ორივე — განათლების განყოფილება) — 104,8, 3. მ. ლებანიძე („განთიადი") — 91,7.

III თანრიგის პროგრამით: 1. ა. არაქელოვი — 101,2, 2. ა. ოჰანესიანი (ორივე — „განთიადი") — 100,45.

უმცროსი ასაკის ჭაბუკები. II თანრიგის პროგრამით: 1. მ. თათარიძე (განათლების განყოფილება) — 111,3, 2. გ. გოლოვინი — 110,9, 3. რ. სუკიასიანი (ორივე — „განთიადი") — 109,95.

III თანრიგის პროგრამით: 1. ა. აკსიუკი — 110,45, 2. ა. მილოვიდოვი — 108,95, 3. ვ. მოსკვიტინი — (სამივე — „განთიადი") — 108,65.

აღნიშნული შეჯიბრება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდს ემთხვევა. ამიტომ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩვენს ტანმოვარჯიშეთა უმრავლესობას დღეისთვის უკვე მთლიანად აუთვისებია სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნები. ვფიქრობთ, ჩვენი ტანმოვარჯიშეები, არც დარჩენილ დროს გაატარებენ უქმად და პირველობას არავის დაუთმობენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში. არ დაგავიწყდეთ, რომ გუნდი უნდა დაკომპლექტდეს ისეთი ძლიერი ტანმოვარჯიშეებით, როგორიც არიან ნ. დრონოვა, მ. მონიავა, ე. მარეხაშვილი, ნ. მეცხვარიშვილი, ვ. ვასილიევა, ს. დუდა, გ. გუგულაშვილი, ი. ვასილიევა, ჟ. ბიჭიკაშვილი, გ. რაჭველიშვილი, გ. იმედაშვილი, ვ. კევლიშვილი, ა. ცინცაძე, ა. ჯაიანი...

ვიმეორებთ, პროგრამა ძირითადად ათვისებულია. ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოძრაობის კულტურას, გამომსახველობის, ელეგანტურობისა და არტისტიზმის გამომუშავებას.

**ა. ჯორჯაძე,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

**ა. ცომაია,**
მთავარი მსაჯის მოადგილე.

# ტრადიციის აღდგენის გზაზე

## ფიზკულტურის კოლექტივებში

ქარხანა „გორიხელსაწყოს" ფიზკულტურულ კოლექტივში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ერთხანს მაღალ დონეზე იდგა: სექციები მუშაობდა, ხშირად ტარდებოდა შიდასაკოლექტივო და ამხანაგური ტურნირები, მაგრამ ბოლო წლებში ფიზკულტურულმა საბჭომ ყურადღება რატომღაც მოადუნა და საქმეც თითქმის ჩაშლამდე მივიდა.

... ქარხანაში ახალი მეთოდისტი მოვიდა: ომარ ფუხაშვილი, რომელსაც მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა. მან აქტივი შემოიკრიბა და საქმეს შეუდგა. მას შემდეგ წელი გავიდა. ქარხნის ფიზკულტურელებმა მდიდარი ტრადიციის აღდგენა დაისახეს მიზნად.

ამუშავდნენ ფეხბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის სექციები. გაიმართა მოჭადრაკეთა ტურნირი 25 კაცის მონაწილეობით. გამარჯვებულებმა სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს. ამას მოჰყვა საქარხნო სპარტაკიადა. გარდამავალი თასისთვის ბრძოლაში 260 სპორტსმენი ჩაება, დაკომპლექტდა ნაკრები გუნდები. საქალაქო სპარტაკიადაში 7 სახეობაში ასპარეზობდნენ და თაკიანთ ქვეჯგუფში საერთო I ადგილი დაიკავეს.

მოეწყო ტურისტული ლაშქრობა: გორი — ატენი — დანახვისი — გორი. სამდღიანი ქვეითი გადასვლა: გორი — ბოშური — გუჯარეთი — ბაკურიანი — გორი, რომელშიც 60 ახალგაზრდა მონაწილეობდა. მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთში, ჭადრაკსა და შაშში ამხანაგური შეჯიბრება ჰქონდათ სოხუმის ხელსაწყოთმშენებელი ქარხნის ფიზკულტურელებთან.

საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა შიდასაკოლექტივო შეჯიბრება ფეხბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. სამივე სახეობაში გამარჯვება წილად ხვდათ მექანიკური საამქროს ფიზკულტურელებს, რომლებსაც კომკავშირის კომიტეტის გარდამავალი თასი გადაეცათ.

მუშაობის გამოცოცხლებამ განაპირობა ნიშნოსან-თანრიგოსანთა მომზადების გეგმა-დავალების გადაჭარბებით შესრულება. მოამზადეს 3 პირველი, 25 მეორე, 55 სხვა თანრიგის სპორტსმენი, საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, მსაჯი. ფიზკულტურული კოლექტივი წლევანდელ კიდევ უკეთ მუშაობას გეგმავს. დასახული აქვთ სპორტის მასობრივი განვითარების გეგმა. მალე აქ მუშაობას დაიწყებს ქართული ჭიდაობის, ხელბურთის, ტყვიის სროლის სექციები. ვარაუდობენ ძალოსნური სექციის შექმნასაც, მოიწვევენ სოხუმის ხელსაწყოთმშენებელი ქარხნის სპორტსმენებს.

ქარხნის დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები დაინტერესებული არიან ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებით. შარშან, მაგალითად, 700 მანეთის სპორტული ინვენტარი შეიძინეს.

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

გორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბები

● მადრიდი, 23 მარტი. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის (ევროპის ზონა) ნახევარფინალურ ჯგუფში ბოლო მატჩიც მოიგო. საბჭოთა სპორტსმენებმა ამჯერად შეჯიბრების მასპინძლები, ესპანელები დაამარცხეს — 22:15 (11:5). ამრიგად, სსრ კავშირის გუნდი ფინალში გავიდა და იქ გადამწყვეტ მატჩში შეხვდება ნორვეგიის ნაკრებს. III-IV ადგილების მფლობელთა ვინაობა პოლონეთისა და ისლანდიის ხელბურთელთა მატჩში გაირკვევა. V ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდებიან ესპანეთისა და ბულგარეთის გუნდები. როგორც იცით, ამ ტურნირში მიუნხენის ოლიმპიადისთვის ხუთი ვაკანტური ადგილი თამაშდება. და აი, სსრ კავშირის, ნორვეგიის, პოლონეთისა და ისლანდიის ხელბურთელებმა მიუნხენის საგზურები უკვე გაინაღდეს.

● ჰავანა, 22 მარტი. მეგობრობის თასზე აქ გამართულ პირად ტურნირში საბჭოთა ჩოგბურთელებს დიდი წარმატება ხვდათ. მათ ხუთივე თანრიგში პირველობა მოიპოვეს. თ. ლეიუსმა და მ. კროშინამ გაიმარჯვეს ერთეულთა თანრიგებში. მათვე ერთად პირველობა მოიპოვეს შერეულ წყვილებში. ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს კროშინამ და ე. ბირიუკოვამ, ვაჟთა წყვილებში — ლეიუსმა და შ. ტარპიშჩევმა.

● მოსკოვი, 23 მარტი. დედაქალაქის „კრილია სოვეტოვის" სპორტის სასახლეში გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ლიგის პირველობის მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრები გუნდები. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 4:3. საბჭოთა გუნდს გამარჯვების ქულა მოუტანა ბათუმელმა სპორტსმენმა ს. სარხოიანმა.

● მოსკოვი, 23 მარტი. აქ დამთავრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: პ. განიამ (რუმინეთი), ვ. სემიონოვმა (ყაზანი), ზ. აბასოვმა (კუიბიშევი), ა. ვოლკოვმა (მოსკოვი), დ. კალმიკოვმა (ორენბურგი), ვ. პავლოვმა (პერმი), ვ. კუიმოვმა (კრასნოდარი), ა. ბოგდანოვმა (ვიტებსკი), ე. გორტსკოვმა (ორიოლი) და ვ. ზაგურსკიმ (კიევი).

● მოსკოვი, 23 მარტი. გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის" კონფერენც დარბაზში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის სპორტული ლიტერატურის გამოფენა. აქ წარმოდგენილია პრაღის „ოლიმპიასა" და ბრატისლავის „სპორტის" გამომცემლობათა 300-ზე მეტი წიგნი, ტურისტული ალბომი და სხვ.

● ჰავანა, 23 მარტი. აქ გრძელდება გამოჩენილი კუბელი მოჭადრაკის ხ. კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი. 14 ტურის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი ლეინი — 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ლიდერს კვალში მიჰყვებიან რიბლი (უნგრეთი) — 9, ჰენინგსი (გდრ) — 8,5 (2), პლატონოვი (სსრ კავშირი), დოხერი (ჰოლანდია) და სპირიდონოვი (ბულგარეთი) — 8-8 (1-1).

● ბელგრადი, 23 მარტი. დამთავრდა 8 მარტისადმი მიძღვნილი მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. I-II ადგილები გაიყვეს ა. ნიკოლაუმ (რუმინეთი) და მ. ლაზარევიჩმა (იუგოსლავია)—11-11 ქულა (13-დან).

● სარაევო, 23 მარტი. აქ დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. კარგად აიღო სტარტი მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პეტროსიანმა (სსრ კავშირი) — 2,5 ქულა (3-დან). მეორე საბჭოთა დიდოსტატი კერესი ბრძოლაში მხოლოდ III ტურიდან ჩაება. ამ დღეს მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელ ჰორტთან.

## თითქმის ჩემპიონები

ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის (ჩელიაბინსკი) მესამე, დასკვნითი წრის მეოთხე და მეხუთე ტურის მატჩებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „ავტომობილისტი" (ტაშკენტი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:2, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (კრასნოდარი) 3:0, „ნევთჩი" (ბაქო) — „დინამო" (მოსკოვი) 3:2, „ბურევესტნიკი" (ოდესა) — ცსკა 0:3, „დინამო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ოდესა) 3:2, ცსკა — „ავტომობილისტი" 3:1, „ნევთჩი" — „დინამო" (კრასნოდარი) 3:0, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი" 3:1. დარჩენილ ორ ტურში მოსკოვის დინამოელებმა ერთი შეხვედრაც რომ მოიგონ, სსრ კავშირის ჩემპიონობა განაღდებული აქვთ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლენინგრადის „ბურევესტნიკი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჩელიაბინსკში მარცხის სიმწარე არ უწვნევია.

## [illegible]

### არა 232,5, არამედ 235,5

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, შესანიშნავმა საბჭოთა ძალოსანმა ვ. ალექსეევმა (ზემძიმე წონა) შვეციის ქალაქ ბოლნესში გამართულ შეჯიბრებაში დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი აჭიმვაში, რომელიც ორი კვირის წინათ რ. მანგმა (გფრ) ჩამოართვა. მაგრამ, როგორც შემდეგ დაზუსტდა, ალექსეევმა აჩვენა არა 232,5 კგ, არამედ 235,5 კგ, რაც მანგის რეკორდზე ერთბაშად 5 კგ-ით მძიმეა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ალექსეევის მსოფლიო რეკორდები აჭიმვასა და აკვრაში ზუსტად ერთმანეთის ტოლია.

## საქართველოს რეკორდები

### ძალოსნობა

1972 წლის 20 მარტისთვის

**აჭიმვა**

| წონა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| უმჩატესი | 97,5 | ა. ჩოლოკიანი (სოხუმის „დინამო") | 1962 |
| მჩატე | 105,5 | ა. ჩოლოკიანი (სოხუმის „დინამო") | 1968 |
| ქვემსუბუქი | 125 | დ. შანიძე (თბილისის „განთიადი") | 1968 |
| მსუბუქი | 130 | ვ. ლობჟანიძე (რუსთავის „განთიადი") | 1970 |
| ქვესაშუალო | 142,5 | დ. გაბაძე (ქუთაისის „ლოკომოტივი") | 1971 |
| საშუალო | 155 | გ. კოჩიევი (თბილისის „სპარტაკი") | 1966 |
| ქვემძიმე | 167,5 | ო. დემუროვი (თბილისის „განთიადი") | 1971 |
| მძიმე | 185 | ა. ჯეჯელავა (თბ., „კოლმეურნე") | 1970 |
| ზემძიმე | 190 | ა. ჯეჯელავა (თბ., „კოლმეურნე") | 1971 |

**ატაცი**

| წონა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| უმჩატესი | 85,5 | მ. პართენაძე (ბათუმის „განთიადი") | 1971 |
| მჩატე | 102,5 | რ. დათიკაშვილი (თბ., „კოლმეურნე") | 1959 |
| ქვემსუბუქი | 120,5 | დ. შანიძე (თბილისის „განთიადი") | 1971 |
| მსუბუქი | 122,5 | დ. შანიძე (თბილისის „განთიადი") | 1972 |
| ქვესაშუალო | 137,5 | დ. გაბაძე (ქუთაისის „ლოკომოტივი") | 1971 |
| საშუალო | 140 | ო. დემუროვი (თბილისის „განთიადი) | 1968 |
| ქვემძიმე | 150 | ო. დემუროვი (თბილისის „განთიადი") | 1971 |
| მძიმე | 160 | ა. ჯეჯელავა (თბ., „კოლმეურნე") | 1970 |
| ზემძიმე | 155 | ა. ჯეჯელავა (თბ., „კოლმეურნე") | 1971 |

**აკვრა**

| წონა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| უმჩატესი | 112,5 | ა. ჩოლოკიანი (სოხუმის „დინამო") | 1968 |
| მჩატე | 125 | რ. დათიკაშვილი (თბ., „კოლმეურნე") | 1963 |
| ქვემსუბუქი | 153,5 | დ. შანიძე (თბილისის „განთიადი") | 1971 |
| მსუბუქი | 156 | ვ. ლობჟანიძე (რუსთავის „განთიადი") | 1970 |
| ქვესაშუალო | 171,5 | გ. კოჩიევი (თბილისის „სპარტაკი") | 1968 |
| საშუალო | 184,5 | გ. კოჩიევი (თბილისის „სპარტაკი") | 1965 |
| ქვემძიმე | 187,5 | რ. ტარკილი (სოხუმის „განთიადი") | 1971 |
| მძიმე | 200 | ა. ჯეჯელავა (თბ., „კოლმეურნე") | 1970 |
| ზემძიმე | 200 | ა. ჯეჯელავა (თბ., „კოლმეურნე") | 1971 |

**სამჭიდი**

| წონა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| უმჩატესი | 295 | ა. ჩოლოკიანი (სოხუმის „დინამო") | 1968 |
| მჩატე | 317,5 | რ. დათიკაშვილი (თბ., „კოლმეურნე") | 1968 |
| ქვემსუბუქი | 395 | დ. შანიძე (თბილისის „განთიადი") | 1971 |
| მსუბუქი | 407,5 | დ. შანიძე (თბილისის „განთიადი") | 1972 |
| ქვესაშუალო | 435 | დ. გაბაძე (ქუთაისის „ლოკომოტივი") | 1971 |
| საშუალო | 470 | გ. კოჩიევი (თბილისის „სპარტაკი") | 1967 |
| ქვემძიმე | 500 | რ. ტარკილი (სოხუმის „განთიადი") | 1971 |
| მძიმე | 540 | ა. ჯეჯელავა (თბ., „კოლმეურნე") | 1970 |
| ზემძიმე | 530 | ა. ჯეჯელავა (თბ., „კოლმეურნე") | 1971 |

## ახალი ამბები



## მეკარის ორი გოლი

ახლახან ლიუბლიანელი ხელბურთელები აფხაზეთის დედაქალაქს ესტუმრნენ. სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში იუგოსლაველებს საზეიმო მიღება მოუწყვეს. აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯ. კვინიკაძემ სტუმრებს გააცნო ქალაქის წარსული, მისი შემდგომი კეთილმოწყობის გეგმები. მიღებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. გუბაზი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე.

სტუმრებმა დაათვალიერეს აფხაზეთის ღირსშესანიშნაობანი.

17 მარტს სოხუმის „განთიადის" მოედანზე იუგოსლაველმა სპორტსმენებმა შეხვედრა გამართეს საქართველოს ნაკრებ გუნდთან.

შეხვედრის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. შესვენების შემდეგ ორივე გუნდი მეტი ენერგიით იბრძოდა გამარჯვებისთვის. შესანიშნავად თამაშობდა მეკარე ა. კომახიძე, რომელმაც ერთი 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა მოიგერია. ქართველმა ხელბურთელებმა 3 ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს — 26:23.

აღსანიშნავია ისიც, რომ მასპინძელთა მეკარემ ა. კომახიძემ ორჯერ აიღო ლიუბლიანელთა კარი.

მატჩის არბიტრები იყვნენ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი თ. ჩხარტიშვილი (თბილისი) და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. კოპალიანი (სოხუმი).

**გ. იაშვილი.**

• • •

სურათზე: მატჩის მომენტი. იერიშზეა გ. ბერიაშვილი.

ავტორის ფოტო.

## ნიჩბოსნები სეზონს ხსნიან

კრასნოვოდსკი, 23 მარტი. საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკის დროშებმა დაამშვენა კასპიის ნაპირები, სადაც 22-23 მარტს ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში. გათამაშდა „საგაზაფხულო პრიზი — 72". შეჯიბრების დროს თოვდა. სარბიელზე გამოვიდა 85 საუკეთესო ნიჩბოსანი.

... შუშხუნა ცაში აიჭრა და ბრძოლაში პირველნი ერთადგილიანი ბაიდარებით მოასპარეზენი ჩაებნენ. სამკილომეტრიან დისტანციაზე 26 ქალი გამოვიდა. ყველას აჯობა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. პინაევამ (ლენინგრადი). II ადგილზეა გ. ოსმინინა (მოსკოვი).

თავისი მაღალი კლასი დაადასტურა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ა. შაპარენკომ (სუმი). 6-კილომეტრიან დისტანციაზე ბაიდარებით შეჯიბრებაში პირველობის მოპოვებისთვის მას 27 წუთი და 21,3 წამი დასჭირდა. დიდი წარმატება მოიპოვა 19 წლის მინსკელმა სტუდენტმა ვ. ჩიმეზომ. მან რამდენიმე სახელგანთქმული ნიჩბოსანი ჩამოიტოვა და III ადგილი დაიკავა.

ლვოველმა რ. ნაგირნიმ მოიგო 6-კილომეტრიანი დისტანცია კანოეებით. ორადგილიანი ბაიდარებით 3 კილომეტრი ყველაზე სწრაფად გაიარეს ლ. ივანოვამ (მოსკოვი) და ლ. მალციმ (ხარკოვი).

ორადგილიანი კანოეებით 6 კილომეტრზე შეჯიბრებაში ყველას აჯობეს ვილნიუსელმა ვ. ჩესიუნასმა და დუშანბელმა ი. ლობანოვმა.

[illegible]

ფეხბურთი

## გაიმარჯვა „სპარტაკმა"

22 მარტს სოჭში, გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის მეოთხედფინალური მატჩი მოსკოვის გუნდებს „სპარტაკსა" და „ლოკომოტივს" შორის.

52-ე წუთზე დაწინაურდნენ რკინიგზელები (ზუდინი), მცირე ხნის შემდეგ პაპაევმა საჯარიმო დარტყმით გაქვითა გოლი, ხოლო მატჩის დასასრულს სპარტაკელთა მეორე ნახევარმცველმა კალინოვმა დააწინაურა თავისი გუნდი — 2:1.

## ევროპული ტურნირები

### თასების მფლობელთა თასი

მეოთხედფინალისტთა შორის გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება პირველად მიიღეს მოსკოვის დინამოელებმა, რომლებმაც ტაშკენტში განმეორებით მატჩში მიიღეს იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა" და აიღეს საჭირო ქულა — 1:1. სტუმრები წინ იყვნენ კრივოკუჩას მიერ გატანილი გოლის შემდეგ, მაგრამ კოჟემიაკინმა შეძლო ანგარიშის გაქვითვა. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი ბელგრადში მოიგეს დინამოელებმა — 2:1.

ნახევარფინალში გავიდნენ, აგრეთვე, ბერლინის „დინამო" (გდრ), „ბაიერნი" (გფრ) და „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია).

ბერლინის დინამოელებმა შინ ფრედ ითამაშეს შვეციის „ატვიდაბერგთან" — 2:2, ხოლო პირველი მატჩი მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:0. ასევე ფრედ — 0:0, დამთავრდა მატჩი „ბაიერნსა" და რუმინეთის „სტიაუას" შორის, მაგრამ ვინაიდან გერმანელებს მოწინააღმდეგის მინდორზე გატანილი ჰქონდათ 1 ბურთი (1:1) უპირატესობა მათ მიენიჭათ.

„გლაზგო რეინჯერსმა" შინ მოუგო იტალიის „ტორინოს" — 1:0 (პირველი მატჩი — 1:1).

### ჩემპიონთა თასი

„არსენალი" (ინგლისი) — „აიაქსი" (ჰოლანდია) 0:1 (ინგლისელებს პირველი მატჩიც წაგებული ჰქონდათ — 1:2).

„სტანდარდი" (ბელგია) — „ინტერნაციონალე" (იტალია) 2:1 (პირველი მატჩი მოგებული ჰქონდათ იტალიელებს — 1:0. მოწინააღმდეგის მინდორზე გატანილმა ბურთმა მათ წარმატება მოუტანა).

„სელტიკი" (შოტლანდია) — „დოჟა" (უნგრეთი) 1:1 (პირველი მატჩი მოიგეს შოტლანდიელებმა — 2:1).

„ბენფიკა" (პორტუგალია) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია) 5:1 (პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდა „ფეიენოორდს" — 1:0).

ამრიგად, ნახევარფინალში გავიდნენ „აიაქსი", „ინტერნაციონალე", „სელტიკი" და „ბენფიკა".

### უეფა-ს თასი

„ვულვერჰემპტონი" (ინგლისი) — „იუვენტუსი" (იტალია) 2:1 (პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1).

„ტოტენჰემი" (ინგლისი)—უტა (რუმინეთი) 2:0 (პირველი მატჩიც ინგლისელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0).

„ჟელეზნიჩარი" (იუგოსლავია) — „ფერენცვაროში" (უნგრეთი) 1:2 (პირველი მატჩი თავიანთ მინდორზე ასეთივე ანგარიშით წააგეს უნგრელებმა. მეოთხედფინალში გასვლის ბედი გადაწყვიტა პენალტების სერიამ, რომელიც „ფერენცვაროშის" სასარგებლოდ დამთავრდა).

ნახევარფინალში გავიდნენ „ვულვერჰემპტონი", „ტოტენჰემი" და „ფერენცვაროში". უფრო ადრე ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა იტალიის „მილანმა".

24 მარტს უეფა-ს საშტაბო ბინაში მოხდა ევროპული საკლუბო ტურნირების ნახევარფინალური წყვილების კენჭისყრა.

მოსკოვური შთაბეჭდილებები

# 2. ეს საინტერესოა

ოლიმპიადის დღეებში თითქმის ყველა გამოჩენილ საბჭოთა მოჭადრაკეს (22 დიდოსტატს, 83 ოსტატს, 100-ზე მეტ ოსტატობის კანდიდატს), მწვრთნელს, ჟურნალისტს, ბევრ სახელგანთქმულ სტუმარს, ჭეშმარიტ გულშემატკივარს შევხვდებოდით. რა თქმა უნდა, იყო საინტერესო საუბრებიც.

### ვემზადებით!

— რამდენი კაცი იქნებით ნონას ამალაში? — ღიმილით გვკითხა ალექსანდრე კობლენცმა, სახელგანთქმულმა ლატვიელმა მწვრთნელმა და ოსტატმა. მერე პასუხს აღარ დაუცადა და განაგრძო: სასტუმრო „რიგაში" ათი ნომერი მოგიმზადეთ.

როგორც იცით, 10 მაისს რიგაში დაიწყება გაფრინდაშვილ — კუშნირის მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ლატვიელები კარგ მასპინძლობას გვპირდებიან.

— საზეიმო გახსნას სპორტის სასახლეში ვაწყობთ. მოციგურავეები „ცოცხალ ჭადრაკად" იქცევიან და „პარტიას" გაითამაშებენ. საასპარეზოდ ოფიცერთა სახლის ოქროს დარბაზი შევარჩიეთ, — გვიამბობს კობლენცი. — გადავწყვიტეთ გამოვუშვათ სპეციალური ბიულეტენის ათი ნომერი პარტიებით. ამ ბიულეტენებში სხვა მასალებიც გამოქვეყნდება. როგორ ფიქრობთ, საქართველოში რამდენი ცალი გაიყიდება? ჩვენ ესეც გვაღელვებს. ერთი სიტყვით, ვემზადებით სამასპინძლოდ!

### გახსენება

ოლიმპიადის სტუმარი რუმინეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი ბ. ჰარტმანი, მხიარული შეძახილით შემეგება. მოიკითხა ქართველი მეგობრები, რომელთაც რუმინეთში 1961 წელს მასპინძლობდა. — ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ქართველებისადმი მეგობრული გრძნობა არ გამნელებია. მინდა კვლავ მოგიწვიოთ რუმინეთშიო.

— მართლა კარგი იქნება, — შენიშნა ჩვენმა თარჯიმანმა, დიდოსტატმა ა. ლილიენტალმა. ჰარტმანმა ძალზე სუსტად იცის რუსული. უნგრულად ლაპარაკობდა.

— რატომ ვერ ვხედავ ვახტანგს? — იკითხა ჰარტმანმა. ვიდრე ლილიენტალი კითხვას მითარგმნიდა, თავადვე უთხრა, რომ ვახტანგ ქარსელაძე აღარ არის. ჰარტმანს სევდა ჩაუდგა თვალებში. კარგა ხანს დუმდა. მერე თქვა: „სიცოცხლით, ოპტიმიზმით სავსე ადამიანი იყო. მეგონა სულ იქნებოდა ამ ქვეყანაზე. მას ბევრჯერ უამბნია თავის მოწაფეებზე. რა დასანანია, რომ იგი ჩვენს შორის აღარ არის".

### აზრი არ შემიცვლია

1952 წელს გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" საბჭოთა ჭადრაკის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ, ცნობილმა მკვლევარმა ი. როხლინმა გამოთქვა აზრი, რომ ჭადრაკი რუსეთში საქართველოს გავლით XI საუკუნეში გაჩნდა. მკვლევარის შეხედულება ბევრმა არ გაიზიარა, თუმცა მას საბუთად მოჰყავდა კიევის სოფია-პეჩორის ლავრაში (XI საუკ.) ჭადრაკის თამაშის ამსახველი ფრესკა, რომელიც ქართველი ოსტატების ხელს ეკუთვნის.

— აზრი არ შემიცვლია, — გვითხრა როხლინმა. — ჯერ კიდევ აკადემიკოსმა იოსებ ორბელმა მიბიძგა მემუშავა ამ მიმართულებით. რუსეთში ჭადრაკი კავკასიიდან შემოვიდა. ეს სადავო არ არის, თუმცა ზოგიერთი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ეს თამაში შუა აზიიდან არის შემოტანილი. ერმიტაჟის დირექტორმა აკადემიკოსმა პიოტროვსკიმ (მან თერთმეტი ენა იცის) შემოგვითვალა, თქვენი აზრის განსამტკიცებლად ახალი მასალები გვაქვსო. უნდა წავიდე ლენინგრადში, გავეცნო ამ მასალებს.

— ალბათ „ლელოსთვისაც" დაგვიწერთ წერილს.

— რა თქმა უნდა.

### კონკურსი რომ ყოფილიყო

ვერა სოკოლოვა საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერია. ამჟამად იგი სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმში ქალთა კომისიას განაგებს. ახლა ოლიმპიადაშიც მსაჯობდა. მან გვითხრა:

— კარგი იქნებოდა მოგვეწყო სილამაზის კონკურსები. ვაჟებში გამარჯვებას ყველაზე ხანდაზმულს 56 წლის პაულ კერესს მივაკუთვნებდი. დაუკვირდით რა ელეგანტური, დარბაისლური და მიმზიდველი გარეგნობა აქვს. ქალებში მხოლოდ 14 წლის მზია წერეთელს ავირჩევდი. ყალმით ნახატი გოგონაა!

### ტაიმანოვი ხუმრობს

მაყურებელთა ლოჟაში დიდოსტატი ი. ბონდარევსკი და სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მაკოგონოვი ერთად ისხდნენ. პირველი რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკეებს გულშემატკივრობდა, მეორე — აზერბაიჯანისას. სამი ათეული წლის წინათ მათ ახალი სადებიუტო სისტემა შემოიღეს, რომელსაც „ბონდარევსკი — მაკოგონოვის სისტემა" შეერქვა. ამ ბოლო დროს კი ამ სისტემას თითქმის აღარ თამაშობენ.

როცა დიდოსტატმა მ. ტაიმანოვმა თვალი მოჰკრა ძველ მოჭადრაკეებს, დიდოსტატ პ. კერესს ხელკავი გაუკეთა და უთხრა:

— ძლივს არ დავინახე ბონდარევსკ — მაკოგონოვის სისტემა?

### დედის გული

მზია წერეთელს დედა ახლდა. თამაში რომ დაიწყებოდა, ქალბატონი ნუნუ მაყურებლებში მოკალათდებოდა. არ ვიცი, როგორ ადევნებდა თამაშს თვალს: პარტიას სადემონსტრაციო დაფაზე არ უჩვენებდნენ, მაგრამ დედა საოცარი გუმანით ხვდებოდა, როგორი პოზიცია ჰქონდა მის ქალიშვილს.

მზია არ იმჩნევდა წარმატება-წარუმატებლობას. ოდნავი ღიმილით თუ გამოხატავდა სიხარულს. მაგრამ წაგებას (ზოგჯერ ასეც ხდებოდა) მტკივნეულად განიცდიდა დედამისი. თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს.

**თ. გიორგაძე.**

## კიდევ ერთი ეტაპი

ევროპული ჩემპიონატების გამო სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშებაში მოწყობილი ხანმოკლე შესვენების შემდეგ ტურნირები ისევ განახლდა. თუ ქალთა სამჭიდში თასის ბედი ვადამდე გადაწყდა (იგი ავსტრიელმა ა. პროლმა მეორედ დაისაკუთრა), ვაჟთა ტურნირში ლიდერები ერთმანეთს ოდნავ ჩამორჩებიან.

კიდევ ერთი ეტაპის შეჯიბრება გაიმართა ვალ გარდენში (იტალია), სადაც სწრაფდაშვებაში საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონმა, შვეიცარიელმა ბ. რიუსიმ თავისი საყვარელი სახეობა მოიგო (2.06,06). ახლა მას 114 ქულა აქვს და ფრანგ ჟ.-ნ. ოჟესთან ერთად II-III ადგილებს იყოფს. წინ ისევ ფრანგი ა. დიუვიიარია, რომელიც მთავარ მეტოქეებს 3 ქულით უსწრებს.

რიუსიმ 3750-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 840 მ, 27 კარი) საათში საშუალოდ 107 კილომეტრზე მეტი სისწრაფით ჩაიქროლა და თითქმის კილომეტრით გააუმჯობესა სწრაფდაშვებაში საშუალო სისწრაფის მსოფლიო მიღწევა, რომლის ავტორიც ავსტრიელი ჰ. მესნერი იყო.

ვალ გარდენში II ადგილზე გავიდა რიუსის თანამემამულე რ. ზერტო — 2.07,23, III — ამერიკელი მ. ლაფერტი — 2.07,54.

მანამდე ქალებმა პევენლი ვილში სპეციალურ სლალომში იასპარეზეს. ყველას აჯობა ფ. სტიორერმა. II ადგილზე გავიდა მ. ჟაკო (ორივე — საფრანგეთი), III — მ. კოჰნარი (აშშ).

აქვე უნდა ჩატარებულიყო ვაჟთა სპეციალური სლალომი, მაგრამ თოვლის უკმარობის გამო ტურნირი არ შედგა.

საერთო გუნდურ ტურნირს ისევ ფრანგები ლიდერობენ. მომდევნო ადგილებზე არიან ავსტრიისა და შვეიცარიის მოთხილამურეები.

## მურმანსკი მასპინძლობს საპოროს გმირებს

კოლის ნახევარკუნძულის სამ ქალაქში — მურმანსკში, კიროვსკში და აპატიტში სტარტი აიღო ჩრდილოეთის XXXVIII დღესასწაულმა.

ფინალურ სტარტებს წინ უსწრებდა მასობრივი შეჯიბრებები და სათხილამურო კროსები ფიზკულტურის კოლექტივებში. ამასთან, პირველად გადაწყდა ჩრდილოეთის დღესასწაულები ჩატარებულიყო ოლქის ყველა ქალაქსა და რაიონში. გამარჯვებულები „პოლარული ოლიმპიადების" მთავარ ჯილდოებს გაითამაშებენ. ადგილობრივი შეჯიბრებების ჩატარებისას ორგანიზატორები ჩრდილოელთა გატაცებებსაც ითვალისწინებენ. მაგალითად, მონჩეგორსკში ტარდება მოციგაგეთა ტურნირები, ლოვოზეროში — მეირმეთა შეჯიბრება...

მურმანსკთან, უიუტის ხეობაში, იმიერპოლარულ სპორტსმენებთან ერთად ასპარეზობენ ქვეყნის უძლიერესი მოთხილამურეები — საპოროს ოლიმპიადის გმირები.

ჩრდილოეთის დღესასწაულთან ერთად მურმანსკის ნათხილამურევზე გათამაშდება რბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლებიც.

დღესასწაულის პროგრამაშია ბიატლონისტთა, ფიგურისტთა, მეირმეთა სტარტებიც. მურმანსკის ჰოკეის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი. ხიბინის მთის ფერდობებზე კიროვსკში იასპარეზებენ სამთომოთხილამურენი და ტრამპლინიდან მხტომელები, აპატიტში კი მოციგურავეთა შეჯიბრება ტარდება.

ჩრდილოეთის დღესასწაულის მონაწილეთა შორის არიან პოლონეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, იტალიის, ნორვეგიის, ფინეთის, გფრ-ის, შვეციისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

დღესასწაულზე პირველად გათამაშდება მედლები. დიდი მედლებით დაჯილდოვდებიან „პოლარული ოლიმპიადის" აბსოლუტური ჩემპიონები, მცირეთი — შეჯიბრების სხვა სახეობებში გამარჯვებულნი.

ჩრდილოეთის დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ... პარაშუტისტებიც. აქ იქნებიან მოსკოვის, ლენინგრადის, ვორონეჟის, კიროვის, ივანოვოს უძლიერესი სპორტსმენები, ჩრდილოეთის ფლოტის ავიატორთა და ქვეყნის საჰაერო თავდაცვის [illegible] გუნდები. მურმანსკის დოსააფის საავიაციო-სპორტული კლუბი პარაშუტისტთა დიდ ჯგუფს გამოიყვანს.

საოლქო გამომცემლობის მუშაკები დღესასწაულისთვის გამოუშვებენ ლამაზად გაფორმებულ ბუკლეტებს. გამოვა საგანგებო სამკერდე ნიშნებიც. უამრავი საქმე აქვთ მხატვრებს, რომლებიც ესკიზებს ქმნიან ქალაქებისა და შეჯიბრების ადგილების გასაფორმებლად. ასპარეზობის დღეებში ხელოვნების ზეიმიც მოეწყობა.

**ვ. ზასუხინი.**

მურმანსკი.

## ყინულის მოედნებზე

ჰელსინკი, 21 მარტი. ფინეთში სტუმრად არიან სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ჰოკეისტები. პირველი მატჩი ქალაქ იმატრის ახალგაზრდულ გუნდთან საბჭოთა ჰოკეისტებმა მოიგეს — 5:4. მეორე მატჩი მათ ჰიამენლინში გამართეს ადგილობრივ „ჰიამენლინან ტარმოსთან", რომელიც თავისი ქვეყნის ჩემპიონატის მეორე ლიგაში გამოდის. ამჯერად საბჭოთა სპორტსმენები დამარცხდნენ — 4:6.

● ●

ობერტსდორფი, 22 მარტი. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში ნორვეგიის ნაკრებმა წააგო გფრ-ის ნაკრებ გუნდთან — 0:16.

● ●

ჟენევა, 22 მარტი. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა დაამარცხა შვეიცარიის ნაკრები — 4:2.

## თბილისის სპორტულ ბანაკზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 25 მარტი. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი). დას. 12 ს. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი). 12 ს. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ისანი" (თბილისი). 12 ს. ვარკეთილის სტადიონი. „ვარკეთილი" (ვარდაბანი) — „განთიადი" (ბორჯომი). 16 ს.

მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 26 მარტი. ასკ-ს სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „მერცხალი" (მახარაძე). დას. 14 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. „ავაზა" (თბილისი) — „დილა" (გორი). 15 ს.



იაუნდეში — კამერუნის დედაქალაქში — მთავრდება დიდი, თანამედროვე, 60000-ადგილიანი სტადიონის მშენებლობა. მალე ქვეყნის უდიდესი სპორტული ნაგებობა პირველ სპორტსმენებსა და გულშემატკივრებს უმასპინძლებს.

სურათზე: სტადიონის საერთო ხედი.

ვ. სნეგოვსკის ფოტო (საკდესი).

## დ. ე. ჭოხონელიძე



აღარ არის ადამიანი, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობის წინსვლისა და განმტკიცების საქმეს მოახმარა. ჩვენს რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა საქმის ერთგული, კეთილშობილი კაცი დავით ევსევის ძე ჭოხონელიძე. იგი დაიბადა 1914 წელს ქ. ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. 1930 წელს იგი კომკავშირის რიგებში შევიდა, ხოლო 1939 წლიდან სკკპ წევრია.

მისი შრომითი მოღვაწეობა საშუალო განათლების მიღებისთანავე, 1932 წლიდან დაიწყო. დ. ჭოხონელიძე თავიდანვე საფინანსო დარგის ძნელ და საპატიო საქმეს დაუკავშირდა. 1939 წელს ქუთაისის სამშენებლო მასალათა ტრესტში ეკონომისტად მუშაობის პარალელურად განაგრძობდა სწავლას საფინანსო-ეკონომიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდგომში იდეურ-პოლიტიკურ ცოდნას თბილისის მარქსიზმ-ლენინიზმის სალამოს უნივერსიტეტში იმაღლებდა.

1932-1946 წლებში დ. ჭოხონელიძე თბილისისა და რესპუბლიკის საფინანსო ორგანოებში მუშაობს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1946-1952 წლებში იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში საფინანსო-საგეგმო განყოფილების უფროსად დანიშნეს.

1952-1964 წლებში დ. ჭოხონელიძე საფინანსო-საგეგმო საქმიანობას განაგებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში.

1964 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე დ. ჭოხონელიძე საფინანსო-საგეგმო განყოფილებას ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში.

იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში: 1938-1946 წლებში მუშაობდა თბილისის სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის პირველადი კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების მდივნად. დაჯილდოებული იყო მედლებით: „შრომითი მამაცობისთვის", „გერმანიაზე გამარჯვებისთვის", ბევრი სიგელითა და სამახსოვრო საჩუქრით.

დავით ჭოხონელიძის, როგორც საუკეთესო სპეციალისტის, გამრჯე და უღალატო მეგობრის, გულისხმიერი და სანიმუშო მოქალაქის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

25 მარტი
სსრ კავშირის თასის გათამაშება
მეოთხედფინალური შეხვედრა
„დინამო" (თბილისი) — „კარპატი" (ლვოვი)
დასაწყისი 15 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02585